სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელის

ხელშეკრულება №___

(სწავლის საფასურის საკუთარი სახსრებით გადამხდელ მსმენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულება)

ქ. გორი **თარიღი __ _____2024წ.**

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში – აკადემია), წარმოდგენილი რექტორის - **ბრიგადის გენერალ მამია ბალახაძის** სახით და მეორეს მხრივ საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და აკადემიის შიდა გამოცდის/ების საფუძველზე ჩარიცხული მსმენელი _____(შემდგომში - მსმენელი), ორივე ერთად წოდებული მხარეები), „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 10/ნ ბრძანებისა და აკადემიის რექტორის №_____ბრძანების შესაბამისად ვდებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულებით განისაზღვრება ურთიერთობა აკადემიასა და აკადემიის _____ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხულ _____მსმენელს შორის.

მუხლი 2. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

1. აკადემია ვალდებულია:

ა) შეუქმნას მსმენელს სათანადო პირობა საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე;

ბ) შექმნას სათანადო პირობა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ საგნებში მეცადინეობების მაღალ აკადემიურ და მეთოდურ დონეზე ჩასატარებლად;

გ) განახორციელოს მსმენელის მომზადება და მისი ცოდნის შეფასება საერთაშორისო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;

დ) უზრუნველყოს ხელმისაწვდომობა იმ მატერიალურ ტექნიკური საშუალებებისა, რომლებიც აუცილებელია მსმენელის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისათვის ;

ე) უზრუნველყოს მსმენელის საჭირო ნორმატიული დოკუმენტების (საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები, შეფასების სისტემა, აკადემიის შინაგანაწესი, წესდება, ეთიკის კოდექსი, დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმები და სხვა) ხელმისაწვდომობა. ამ მიზნით აღნიშნული დოკუმენტაცია განთავსდება აკადემიის ვებ-გვერდზე, ბიბლიოთეკაში, თვალსაჩინო ადგილებზე;

ვ) უზრუნველყოს ისეთი გარემო, სადაც დაუშვებელია მსმენელის დისკრიმინაცია რელიგიური, რასობრივი, ეთნიკური, გენდერული და სხვა დისკრიმინაციული მოტივებით;

ზ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისების შემდეგ, გასცეს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დიპლომი და დიპლომის დანართი დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

2. მსმენელი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები განათლებისა და ადამიანის უფლებების სფეროში;

ბ) დაიცვას აკადემიის წესდების, აკადემიის შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის მოთხოვნები;

გ) დაემორჩილოს აკადემიის რექტორის, რექტორის მოადგილის, მაგისტრატურის ხელმძღვანელის, პროგრამის ხელმძღვანელის და სხვა ზემდგომთა ბრძანებებს/მითითებებს;

დ) გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია დადგენილ ვადებში;

ე) შეასრულოს მსმენელის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ვ) აითვისოს საგანმანათლებლო პროგრამით ნორმირებული და შიდა ნორმატიული დოკუმენტებით დადგენილი კრედიტების რაოდენობა;

ზ) გაუფრთხილდეს აკადემიის ქონებას;

თ) ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს აკადემიის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა და აქტივობებში.

ი) ვალდებულია აკადემიის შტაბის G-1 სამსახურს მიაწოდოს საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი, საკონტაქტო პირი - ოჯახის წევრი). შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის სამსახურს

კ) ვალდებულია დაესწროს მეცადინეობებს.

3*. აკადემია უფლებამოსილია:*

ა) გამოიყენოს მსმენელის დისციპლინარული პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმები აკადემიის წესდების, შინაგანაწესის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სადისციპლინო წესდებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის და აკადემიის ეთიკის კოდექსით დადგენილი მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში;

ბ) შეუწყვიტოს მსმენელის სტატუსი იმ მსმენელებს, რომლებმაც საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისას ვერ დააგროვეს საჭირო კრედიტები, აკადემიის წესდებით, შინაგანაწესით და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებულ პირობებში.

4. მსმენელი უფლებამოსილია:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;

ბ) ისარგებლოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,

გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და მოითხოვოს სასწავლო კურსების (მოდულების) სილაბუსები;

დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;

ე) აიღოს აკადემიური შვებულება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ვ) ისარგებლოს მობილობის წესით.

მუხლი 3. მსმენელის მიერ საფასურის გადახდის ვადა და წესი

1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, აკადემია იღებს ვალდებულებას, შეუქმნას მაგისტრატურის მსმენელს სათანადო პირობები მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისათვის და გაუწიოს მაგისტრატურის საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლებასთან დაკავშირებული მომსახურება იმ პირობით და მას შემდეგ, რაც მაგისტრატურის მსმენელი, რომელიც წარმოდგენილი არ არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაიხდის სწავლის სემესტრულ საფასურს მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

2. აკადემიის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელისათვის, რომელიც წარმოდგენილი არ არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სწავლის საფასური შეადგენს ერთ სასწავლო წელზე 2250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარს და გადაიხდება სემესტრულად.

3. მაგისტრატურის მსმენელი, რომელიც არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვალდებულია, სწავლის საფასური გადაიხადოს სემესტრულად:

ა) I კურსის პირველი სემესტრის საფასურის შეადგენს 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარს და გადაიხდება არაუგვიანეს 20----- წლის -------- სექტემბრამდე;

ბ) I კურსის მეორე სემესტრის საფასური შეადგენს 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარს და გადაიხდება არაუგვიანეს 20----- წლის 10 მარტამდე;

გ) II კურსის პირველი სემესტრის საფასური შეადგენს 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარს და გადაიხდება არაუგვიანეს 20----- წლის 20 სექტემბრამდე;

დ) II კურსის მეორე სემესტრის საფასური შეადგენს 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარს და გადაიხდება არაუგვიანეს 20----- წლის 10 მარტამდე;

4. სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის საფასურის გადახდის განსხვავებული გრაფიკის საკითხს წყვეტს აკადემიური საბჭო.

5. აკადემიური საბჭოს მიერ ინდივიდუალური გრაფიკის დადგენის შემთხვევაში მსმენელს უფორმდება დამატებითი შეთანხმება.

6. ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფაროს აკადემიის მიერ დადგენილ ვადებში.

7. თუ მსმენელი სტატუსს აღიდგენს, მან უნდა განაახლოს ხელშეკრულება უნივერსიტეტთან. ამ შემთხვევაში, სწავლის საფასური განისაზღვრება მსმენელის სტატუსის აღდგენისას

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული საფასურის ოდენობით.

4. მაგისტრატურის მსმენელის სწავლის საფასურის ინდივიდუალური გადახდის გრაფიკი

1. მსმენელი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ იყო წარმოდგენილი და გათავისუფლდა სამსახურიდან, თუ 10 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს მაგისტრატურის ხელმძღვანელს საკუთარი სახსრებით სწავლის გაგრძელების შესახებ, მაგისტრატურის წარდგინებით აკადემიური საბჭო დაადგენს გადახდის ინდივიდუალურ გრაფიკს. აღნიშნულთან დაკავშირებით მსმენელთან გაფორმდება ახალი ხელშეკრულება.

2. მსმენელი, რომელსაც სურს ინდივიდუალური გადახდის გრაფიკით სარგებლობა, განცხადებით მიმართავს აკადემიის მაგისტრატურის ხელმძღვანელს, გადახდის ვადის დადგომამდე არაუგვიანეს 20 კალენდარული დღით ადრე. ინდივიდუალური გრაფიკის განსაზღვრის შემთხვევაში მსმენელთან აკადემიის შტაბის G-1 სამსახური გააფორმებს დამატებით შეთანხმებას, აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად.

3. მსმენელის განცხადების დაკმაყოფილების ან განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მაგისტრატურის ხელმძღვანელის წარდგინებით გადაწყვეტილებას იღებს აკადემიის აკადემიური საბჭო, მაგისტრატურის ხელმძღვანელის მომართვიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

4. დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება პირველ პუნქტში მითითებული ვადის დარღვევით წარმოდგენილი განცხადება.

5. მსმენელის სტატუსის შეჩერება

1. მსმენელი რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ იყო წარმოდგენილი და იგი გათავისუფლდა სამსახურიდან, უფლება აქვს 10 სამუშაო დღის ვადაში მაგისტრატურის ხელმძღვანელს მიმართოს განცხადებით, ხოლო მაგისტრატურის ხელმძღვანელი პატაკით მიმართავს აკადემიის რექტორს, რათა აკადემიურმა საბჭომ განიხილოს მსმენელის საკუთარი სახსრებით სწავლის გაგრძელებისა ან/და არაუმეტეს ერთი სასწავლო წლით სტატუსის შეჩერების საკითხი.

1[1]. აკადემიური საბჭოს მიერ თუ დადებითი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, მსმენელის საკუთარი სახსრებით სწავლის გაგრძელების ან/და არაუმეტეს ერთი სასწავლო წლით სტატუსის შეჩერების შესახებ, აკადემიური საბჭოს მიერ განისაზღვრება ასევე სწავლის დასრულების პერიოდამდე გადასახდელი თანხა, კერძოდ, აკადემიაში დადგენილი სწავლის საფასურისა და სწავლის დასრულებამდე დარჩენილი პერიოდის თანაფარდობის შესაბამისად. აღნიშნულთან დაკავშირებით აკადემიური საბჭო დაადგენს მსმენელის ინდივიდუალურ გადახდის გრაფიკს.

2. მსმენელი უფლებამოსილია, აკადემიასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასურის გადახდის თარიღამდე 10 სამუშაო დღით ადრე მიმართოს მაგისტრატურის ხელმძღვანელს მსმენელის სტატუსის შეჩერების შესახებ, ხოლო

მაგისტრატურის ხელმძღვანელი პატაკით მიმართავს აკადემიის რექტორს, რათა აკადემიურმა საბჭომ განიხილოს მსმენელის სტატუსის შეჩერების საკითხი.

3. მსმენელი, პირადი განცხადებით მიმართავს მაგისტრატურის ხელმძღვანელს, არსებული დავალიანების სრულად დაფარვის შემდგომ სტატუსის აღდგენის შესახებ, ხოლო მაგისტრატურის ხელმძღვანელი პატაკით მიმართავს აკადემიის რექტორს, რათა აკადემიურმა საბჭომ დაადგინოს მსმენელის სწავლის გაგრძელების ეტაპი, მიზანშეწონილი იქნება შემდგომი სემესტრიდან თუ შემდგომი სასწავლო წლიდან, იმ დროისათვის არსებული პროგრამის გათვალისწინებით.

4. მსმენელი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტატუსი:

4.1. სტატუსის აღდგენამდე არ დაიშვება სასწავლო პროცესში;

4.2. შეფასებას არ დაექვემდებარება სტატუსის შეჩერების პერიოდში გათვალისწინებული სასწავლო ან/და სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტ(ებ)ი.

6. მაგისტრატურის მსმენელის აკადემიური დავალიანების აღდგენის წესი

აკადემიაში დანერგილია მსმენელთა აკადემიური მოსწრების შეფასების ტრანსფერისა და დაგროვების კრედიტების აღდგენის შემდეგი პირობები:

1. საბოლოო გამოცდაზე **FX** (ვერ ჩააბარა) შეფასების მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება ეძლევა განმეორებით (არანაკლებ 5 დღის ინტერვალით) ჩააბაროს აღნიშნული საგანი;

2. განმეორებით გამოცდაზე კვლავ არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში მსმენელს მოუწევს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსის, ხოლო ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსის შემთხვევაში იგივე ან პროგრამით გათვალისწინებული სხვა სასწავლო კურსის შესწავლა.

3. სასწავლო კურს(ებ)ის დარჩენის შემთხვევაში მსმენელის მიერ სასწავლო კურს(ებ)ის განმეორებით შესწავლისა და ანაზღაურების საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

4. ერთსა და იმავე სასწავლო კურსში კრედიტების აღდგენა დასაშვებია მხოლოდ ერთხელ;

5. ერთი კრედიტის აღდგენისათვის მსმენელი გადაიხდის 40 (ორმოცი) ლარს;

6.ზემოაღნიშნული პირობების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს მსმენელისთვის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის საფუძველი.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი ვადამდე შეწყვეტის პირობები

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები ძალაში შედის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, აკადემიის რექტორის მიერ მსმენელთან დაკავშირებით გამოცემული ჩარიცხვის ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან და მოქმედებს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე.

2. აკადემიის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მსმენელი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების ნორმებს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, აკადემიის წესდებას, ეთიკის კოდექსს ან შინაგანაწესს.

3. მსმენელს, რომელიც ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ გადახდის ვადას გადააცილებს და მას არ ექნება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, მაგისტრატურის ხელმძღვანელთან განცხადება წარმოდგენილი სწავლის შეჩერებასთან დაკავშირებით, ვადაგადაცილებიდან არაუგვიანეს 10 დღისა შეუჩერდება მსმენელის სტატუსი, ხოლო მსმენელის სტატუსის შეჩერებიდან 1 წლის გასვლის შემდეგ შეუწყდება მსმენელის სტატუსი.

4. აკადემიის მსმენელის სტატუსის შეწყვეტა არ იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას. ხელშეკრულების მოქმედების ვადა გრძელდება ვალდებულებათა სრულად ამოწურვამდე.

5. მსმენელის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მსმენელმა შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს აკადემიის რექტორს.

მუხლი 8. დავათა გადაწყვეტის წესი

1. ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ყველა ის საკითხი, რაც დარეგულირებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, უნდა გადაწყდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

3. მხარეთა მიერ მოლაპარაკების გზით შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. მხარეებს შორის დავის საქართველოს სასამართლოს მიერ განხილვის შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

მუხლი 9. სხვა დებულებები

1.ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით.

2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემა მხარეებს, თითოეულ მხარეს თითო ეგზემპლარი.

3. მსმენელს არა აქვს უფლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები გადასცეს სხვა პირებს, გარდა სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული საკითხებისა.

4. წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტი სრულიად შეესაბამება და გამოხატავს მხარეთა ნებას, რასაც ვადასტურებთ მხარეთა ხელმოწერით:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის

საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

მიმღების ს/კ 218083222

ბანკის კოდი TRESGE22

ბანკის დასახელება „სახელმწიფო ხაზინა“

ანგარიშის ნომერი/ შემოსავლის კოდი :

707957289

შემოსავლის აღწერა: ერთიანი ანგარიში

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის

საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

დანიშნულება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში

სწავლის საფასური

აკადემიის რექტორი

ბრიგადის გენერალი

მამია ბალახაძე

(სახელი, გვარი) (სახელი, გვარი)

--- ---

(ხელმოწერა) (მსმენელის ხელმოწერა)